ბრძანება:**ბ01.012133010**
თარიღი:**26/11/2021**
პინი:**5352**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი 3, II მიკრო/რაიონი, კორპუსი N13-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.023.021, ნაკვეთი 23/21) ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2, მე-9 და მე-13 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01213211758-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი 3, II მიკრო/რაიონი, კორპუსი N13-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.39.023.021, ნაკვეთი 23/21) არსებული შენობის რეკონსტრუქციისთვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვროს არსებული მდგომარეობის შესაბამისად: კ-1=1.0

2. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01213211758-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **01213302162**
თარიღი: **26/11/2021**
პინი: **4690**

ადრესატი: მამუკა სონღულაშვილი
პირადი ნომერი: 01025000649
მისამართი: თბილისი თ.აბაკელიას ქ. N 11 ბ. 8

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

განცხადების ნომერი: 01213211758-67
განცხადების თარიღი: 17/11/2021

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

- საკადასტრო კოდი :01.19.39.023.021
- მისამართი :ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , მიკრო/რაიონი II , კორპუსი 13 , მიმდებარედ (ნაკვეთი 23/21)

განმცხადებელი-დამკვეთი :მამუკა სონღულაშვილი
პირადი ნომერი :01025000649
მისამართი :თბილისი თ.აბაკელიას ქ. N 11 ბ. 8

ნომენკლატურა :სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა /

თქვენი განცხადების შესაბამისად, გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დასკვნასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებას

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01213305**
თარიღი: **26/11/2021**
პინი: **7166**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	01213211758-67
განცხადების თარიღი:	17/11/2021
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.19.39.023.021
მისამართი :	ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , მიკრო/რაიონი II , კორპუსი 13 , მიმდებარედ (ნაკვეთი 23/21)
მესაკუთრეები :	შპს "თი ქეი ქონსთრაქშენ",
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	მამუკა სონღულაშვილი
პირადი ნომერი :	01025000649
მისამართი :	თბილისი თ.აბაკელიას ქ. N 11 ბ. 8
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	მამუკა სონღულაშვილი
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)
კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი :	250.0
მოთხოვნის შინაარსი :	

მოთხოვნის ტექსტი :	გთხოვთ მოგვცეთ ინდივიდუალური პარამეტრები მიწის ნაკვეთის გამოსაყენებლად კ1=1.0 და კ3=0, ვინაიდან არსებული შენობა განთავსებულია მთელ ნაკვეთზე და გვსურს მისი რეკონსტრუქცია გაბარიტული ზომების უცვლელად.

განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	წარმოდგენილია ქ. თბილისში, დასახლებაში ვარკეთილი-3, მიკრო/რაიონი II, კორპუსი #13-ის მიმდებარედ, შპს “თი ქეი ქონსთრაქშენ”-ის საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაზე (საკ. კოდი #01.19.39.023.021) არსებული ერთსართულიანი შენობის კომერციული დანიშნულების შენობად რეკონსტრუქციის, სპეციალური ზონალური შეთანხმების მისაღებად დასაბუთების ესკიზური პროექტი საპროექტო ტერიტორია ფართით 250 კვ.მ მდებარეობს ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, II მიკრო/რაიონში, მე-13 კორპუსის უკან და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6). ტერიტორიაზე არსებული შენობა წარმოადგენს ეთსართულიან სხვილბლოკოვანი სიმკარებით გადახურულ კონსტრუქციის, რომელსაც სრულად აქვს ათვისებული საპროექტო ნაკვეთი. წარმოდგენილი ესკიზური პროექტი ითვალისწინებს მზიდ კედელში არსებული ფანჯრის ღიობების გაერთიანებას და ახალი ღიობების ამოჭრას, სადაც მოეწყობა შავი ალუმინის პროფილის ვიტრაჟები. ფასადები შეილესება მიუნხენის რუხი ფერის ხსნარით. პარაპეტი შეიფუთება თეთრი ფერის ალუმინის კომპოზიტური პანელებით. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობა სრულად იკავებს ფართს და შესაბამისად არსებული კ1 კოეფიციენტი არის კ1=1 ხოლო დადგენილი ზონის შესაბამისი კ1=0.5. გთხოვთ კ1 კოეფიციენტი განგვისაზღვროთ არსებულის შესაბამისად და მოგვცეთ კ1=1.0 კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართია 250 კვ.მ, აქედან გამომდინარე კ2=250/250=1.0 ასევე კ3 გამწვანების კოეფიციენტიც, ვინაიდან შენობას სრულად უკავია საპროექტო ტერიტორია კ3=0, ამიტომ ასევე გთხოვთ კ3 კოეფიციენტიც განგვისაზღვროთ კ3=0 საცხოვრებელ ზონა 1-ში კოეფიციენტები განსაზღვრულია კ1=0.5, კ2=2.5, კ3=0.3, მაგრამ წარმოდგენილი დასაბუთების მიხედვით ვინაიდან სარეკონსტრუქციო შენობას სრულად აქვს ათვისებული საპროექტო ტერიტორია მივიღეთ საპროექტო ტერიტორიის განვითარერბის შემდეგი პარამეტრები: კ1=1.0; კ2=2.5; კ3=0. სარეკონსტრუქციო სამუშაოები თავისი ტიპის მიხედვით მიეკუთვნება პირველი კლასის სამუშაოებს, მაგრამ ვინაიდან იცვლება შენობის ფუნქცია არქიტექტურის სამსახურში მოგვთხოვეს მეორე კლასით სამშენებლო ნებართვის აღება. გთხოვთ მოგვცეთ სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობის რეკონსტრუქციისათვის გაბარიტული ზომების და ფართის უცვლელად. არქიტექტორი - გიორგი თუშიშვილი

გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	კომერციული ობიექტი
	ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.39.023.021 ფართობი 250 კვ.მ.) ვრცელდება საცხოვრებელი ზონა-6 (სზ-6). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის "ო" ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) არის მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის "ო" ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–1= 0,5 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–2=2.5 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი: კ–3=0.3 მინიმალური ფართობი 600 / 700 * კვ.მ. მინიმალური სიგანე 15 / 20 * მ.

გადაწყვეტილების დასაბუთება :	მინიმალური სიღრმე 25 / 30 * მ. შენიშვნა * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების თანახმად ვრცელდება დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი- პერიფერიული ზონა (პზ). დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია შერეული ტიპის განაშენიანება. დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ფაქტობრივი მდგომარეობით განთავსებულია შენობა-ნაგებობა, რომელსაც სრულად აქვს ათვისებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ1, ამასთან საკადასტრო ერთეული გაბარიტული ზომებით ვერ აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამის მინიმალურ მოთხოვნებს, შესაბამისად, საკითხი განიხილება ინდივიდუალური პარამეტრების მინიჭებისა და ფაქტობრივი მდგომარეობით გადაჭარბებული განაშენიანების კოეფიციენტის დადასტურების კუთხით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მიწის ნაკვეთები და შენობები-ნაგებობები, რომლებიც არ შეესაბამებიან განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებს წინა მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად და შესაბამისობის უზრუნველყოფა შეუძლებელია, წარმოადგენენ განპირობებულ (იძულებით) შეუსაბამო უძრავ ობიექტებს. იმავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამო სტატუსის მქონე უძრავი ობიექტებისათვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, რომელიც გაიცემა ამ თავის მოთხოვნათა შესაბამისად. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საგამონაკლისო წესს და მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ ამ წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცემა კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის იძულებით (განპირობებული) შეუსაბამო უძრავი ობიექტებისათვის ინდივიდუალური პარამეტრების დასადგენად. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 21-ე მუხლისპირველი პუნქტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა დაუშვებელია (მათ შორის, განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში), გარდა ამ მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება დასაშვებია ერთჯერადად განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამო ობიექტებისათვის ამ წესის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენისას, ფაქტობრივად ათვისებული პარამეტრების დაფიქსირების მიზნით. საპროექტო წინადადებით იგეგმება არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია გაბარიტების უცვლელად და კომერციული ობიექტის განვითარება.
დასკვნა :	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განპირობებული (იძულებით) შეუსაბამო უძრავი ობიექტებისთვის, განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პირობით, ხდება ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს ტერიტორიის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას, არ უნდა ლახავდეს სხვა მესაკუთრეთა ინტერესებს, და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არსებული განაშენიანების გეგმარებით, მოცულობით-სივრცით და ესთეტიკურ პარამეტრებს. ვინაიდან საპროექტო წინადადება ითვალისწინებს არსებული შენობა-ნაგებობის, გაბარიტების უცვლელად, რეკონსტრუქციას, რაც თავისმხრივ არ ზრდის შეუსაბამობის ხარისხს და ემსახურება ტერიტორიის მოწესრიგებასა და არსებული უსახური შენობის იერსახის მოწესრიგებას სააგენტოს დასაშვებად მიაჩნია არსებული შენობის

	რეკონსტრუქციის მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა, კერძოდ გადაჭარბებული განაშენიანების კოეფიციენტი კ1=1.0 დადასტურება და მიწის ნაკვეთისათვის ინდივიდუალური პარამეტრების მინიჭება.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

33510473052121

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210586267

რეგისტრაციის თარიღი

11.06.2021 წ

ნოტარიუსი: ნარგიზა ჯანხოთელი
მისამართი: თბილისი რუსთაველის გამზ. 18
ტელეფონი: 032 2 990506

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ქალაქი თბილისი, ორი ათას ოცდაერთი წლის თერთმეტი ივნისი. ჩემთან, ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელთან სანოტარო ბიუროში, მდებარე თბილისი, რუსთაველის გამზ. №18, გამოცხადდა შპს „თი ქეი ქონსთრაქშენ“-ის (რეგისტრირებული 10.06.2021 წელს, იურიდიული მისამართი: თბილისი, ი. გრიშაშვილის ქ. №49, კომერციული ფართი N A ს/კ 404617278) დირექტორი და 50% წილის მფლობელი პარტნიორი ქეთევან ლეფსვერიძე (დაბადებული 29.06.1969 წელს, რეგ. მისამართი: ქ. თბილისი, თ. აბაკელიას ქ. №11, ბინა 8, პირადი №01011032099). მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც უფლებამოსილებას მიანიჭებს მამუკა სონღულაშვილს (დაბადებული 25.01.1961 წელს, პირადი №01025000649) შპს „თი ქეი ქონსთრაქშენ“-ის საქმეების წარმოებაზე. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მისი პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. უფლებამოსილება დავადგინე ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის № B21057837. დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. შემდეგ შევადგინე მინდობილობა და მიმნდობს წავუკითხე ხმამაღლა. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა, განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და პირადად ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს.

მინდობილობა

ორი ათას ოცდაერთი წლის თერთმეტ ივნისს, მე, შპს „თი ქეი ქონსთრაქშენ“-ის (ს/კ 404617278) დირექტორი და 50% წილის მფლობელი პარტნიორი ქეთევან ლეფსვერიძე (რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ), შემდგომში „მინდობილს“, მასზედ, რომ მან მართოს და განკარგოს (გაყიდოს, გადაიფორმოს საკუთარ თავზე, დააგირაოს) ჩემი კუთვნილი წილი/წილის ნაწილი შპს „თი ქეი ქონსთრაქშენ“-ში. ასევე ნებისმიერი ფორმით მართოს და განკარგოს (გაყიდოს, გააჩუქოს, გააქირაოს, გასცეს იჯარით, გადაიფორმოს საკუთარ თავზე, დატვირთოს იპოთეკით/დააგირაოს) საზოგადოების კუთვნილი ნებისმიერი უძრავ-მოძრავი ქონება, ასევე საზოგადოების სახელით შეიძინოს ნებისმიერი სახის უძრავ-მოძრავი ქონება საქართველოს ტერიტორიაზე, დაარეგისტრიროს შეძენილი ქონება საზოგადოების სახელზე შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში; გააფორმოს სათანადო ხელშეკრულებები, თავად განსაზღვროს ხელშეკრულების ყველა პირობა და ხელი მოაწეროს მას, საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილება ხელშეკრულებაში და/ან გააუქმოს იგი. მიიღოს ნასყიდობის/ქირავნობის თანხა.

იყოს შპს „თი ქეი ქონსთრაქშენ“-ის წარმომადგენელი ნებისმიერ ბანკში და ნებისმიერი ბანკის ნებისმიერ ფილიალში, საზოგადოების სახელით გახსნას და/ან დახუროს ნებისმიერი სახის ანგარიში ნებისმიერ ბანკში, მათ შორის სს „თიბისი ბანკში“, მართოს და განკარგოს შპს „თი ქეი ქონსთრაქშენ“-ის კუთვნილი საბანკო ანგარიშები ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია (თანხების შეტანა, გამოტანა, გადარიცხვა, ვალუტის კონვერტაცია და ა.შ.) ნებისმიერ ვალუტაში, ნებისმიერი ოდენობით, გააქტიუროს/ისარგებლოს ინტერნეტ ბანკინგის, დიჯიპასის და ბანკი კლიენტის მომსახურებით, შეუკვეთოს, დაამზადოს, აიღოს პლასტიკური ბარათი, მათ შორის სახელფასო, ბარათის დაბლოკვის ან/და ბანკომატში დაკავების შემთხვევაში მოითხოვოს ბარათის უკან დაბრუნება და მიიღოს ის, გაუგრძელოს ვადა ბარათებს და შეცვალოს პინ კოდი, აიღოს, შეცვალოს და/ან აღადგინოს პაროლები, შეიძინოს ახალი და გამოიყენოს უკვე არსებული დიჯიპასი, გააქტიუროს ან გააუქმოს არსებული სერვისები, მოითხოვოს და მიიღოს კომპანიის სახელზე პოსტ ტერმინალი, სალარო აპარატი, მიიღოს ნებისმიერი სახის ცნობა, ინფორმაცია, ამონაწერი; აწარმოოს ანგარიშსწორება ბიუჯეტთან, შეავსოს და წარადგინოს დეკლარაციები, აიღოს შემოსავლების სამსახურიდან საზოგადოებისთვის განკუთვნილი სახელი და პაროლი;

მონაწილეობა მიიღოს შპს „თი ქეი ქონსთრაქშენ“-ის პარტნიორთა კრების მუშაობაში, ხმის მიცემის უფლებით, მიიღოს გადაწყვეტილებები დღის წესრიგით გათვალისწინებულ ნებისმიერ საკითხზე, მოაწეროს ხელი კრების ოქმებს, გადაწყვეტილებებს.

წარმოადგინოს საზოგადოების ინტერესები ყველა სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებაში, მათ შორის იუსტიციის სახლში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, შსს მომსახურების სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, შემოსავლების სამსახურში, საგადასახადო ორგანოებში, აწარმოოს მოლაპარაკებები, დადოს კანონით ნებადართული ხელშეკრულებები და განსაზღვროს მათი პირობები თავისი შეხედულებით; აიღოს საჭირო თანხმობები, ნებართვები, შეათანხმოს პროექტები, მოახდინოს პროექტის კორექტირება. გამოიყენოს საზოგადოების ბეჭედი, საჭიროების შემთხვევაში შეუკვეთოს საზოგადოების ბეჭედი. გამოითხოვოს, წარადგინოს, მიიღოს სათანადო დოკუმენტები, ცნობები, ინფორმაცია, შეიტანოს განცხადებები, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში გამოასწოროს ნებისმიერი ხარვეზი, გადაიხადოს ხელფასები, ნებისმიერი ბაჟი, გადასახადი, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის და 50% წილის მფლობელი პარტნიორის, სახელით და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც მითითებული არ არის წინამდებარე მინდობილობაში, მაგრამ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული აქვს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს და დამფუძნებელს.

მინდობილობა, უფლებამოსილების მთლიანად ან ნაწილობრივ მესამე პირებზე გადანდობის უფლებით, გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

მინდობილობა შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობის ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის № B21057837.

გადახდილია სანოტარო საზღაური, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის №507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, 20.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, 3.60 ლარი, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, ზემოთმითითებული დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად, 2.00 ლარი, სულ 25.60 ლარი.

მიმნდობი

ნოტარიუსი: ნარგიზა ჯანხოთელი